572
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1975 აგვისტო N8

ყანწი

ჟინვალჯესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბაბაბაძე

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

ზაფხულია. ცხელა. ეზოში ჩამიჩუმი არ ისმის.

ათასში ერთხელ დასიცხული ბეღურები თუ გაიჟღურტულებენ სახურავზე.

სახურავზე საწვიმარი მილებია გადმოკიდული. ამ მილებში ისეთი სასიამოვნო სიგრილეა, ყველა ბეღურას უნდა აქ შეაფაროს თავი. ჰოდა, ყველა რომ ვერ ეტევა, ხანდახან წაუნისკარტებენ ერთმანეთს. იმიტომ ხმაურობენ, თორემ ჟღურტული კი არ ეხალისებათ ამ სიცხეში.

დათოს რა უშავს, ზის უზარმაზარი კაკლის ჩრდილში და ველოსიპედის თვალს აბზრიალებს. ეს ველოსიპედი მისი უფროსი ძმის, თამაზისაა. ახალი კი არ გეგონოთ,—თამაზს რამე გაუძლებს? უყიდეს თუ არა, ერთი თვის თავზე ღობეს მიანარცხა და მილეწ-მოლეწა. მერე კაკლის ხეზე დიდი ლურსმანი მიაჭედა და ზედ ჩამოკიდა. მას შემდეგ ველოსიპედი აქ კიდია, თამაზი კი ფეხით დაეხეტება მთასა და ბარში.

ბარი ბარია, მაგრამ მთაში რაღა უნდაო, იკითხავთ. ტურისტულ ჯგუფში ჩაეწერა ბიჭი,—ფშავ-ხევსურეთი უნდა შემოვიაროო.

ფშავ-ხევსურეთს რომ ახსენებენ, დათოს თვალები ცრემლით ევსება.

ახლაც გაახსენდა და კბილი კბილს დააჭირა. მერე ველოსიპედის წინა თვალი უფრო ღონივრად დაატრიალა და თვალმა სიჩქარისაგან ზუზუნი დაიწყო.

უცებ თვალწინ თამაზის გამგზავრების დღე დაუდგა: თავზე ფარფლებიანი ქუდი ეხურა. მხარზე მწვანე ზურგჩანთა მოეგდო. ხელში შინდის ჯოხი ეჭირა.

— წამოვალ, რა, მეც წამოვალ!..—ეხვეწებოდა დათო.

— სად წამოხვალ, ხომ არ გაგიჟდი!—ცივ უარზე იყო თამაზი.

— წამოვალ, არ დავიღლები! გეხვეწები!..

— არა და არა!—თქვა ბოლოს თამაზმა და ეზოდან გავიდა.

დათოს ისევ ცრემლით აევსო თვალები და ტირილი მოუნდა, მაგრამ ბიჭუნა უცებ ფიქრებმა გაიტაცეს. მოეჩვენა, რომ ველოსიპედზე ზის და არაგვის ხეობაში მიჰქრის...

ახლა თამაზის წერილი ახსენდება, სოფელ ჟინვალიდან რომ გამოეგზავნა.

ისევ ბზრიალებს ველოსიპედის თვალი, ისევ მიჰქრის არაგვის ხეობაში ბიჭუნა. მარჯვნივ—მთის მდინარე შხუის, მარცხნივ—ცხვრის ფარა ძოვს; შორს, ზემოთ კი—კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები ელვარებს.

უცებ ექსკავატორების და ბულდოზერების გუგუნი მოესმა. ხედავს, მდინარის პირას უზარმაზარი მანქანები ბულრაობენ. მზეზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

29705

რუჯულ კაცებს „ვილისზე“ დიდი ფურცელი გაუშლიათ და რალაცას საუბრობენ. თან ხელებს ხან აქეთ იშვერენ, ხან—იქით.

— რა ამბავია, რას აშენებენ!—ერთ თავის კბილა ჭორფლიან ბიჭს გასძახა დათომ.

— შენ რა, ჭურში ხომ არ ზიხარ?—დიდგულად მიუგო იმ ბიჭმა,—რას აშენებენ და, ელექტროსადგურს!

— ელექტროსადგურს? — გაიკვირვა დათომ,—ალბათ ზაჰესს დაარქმევენ.

— ზაჰესს კი არა და! ჩვენი სოფლის სახელი ერქმევა, ჟინვალჰესი!—ამაყად თქვა ჭორფლიანმა ბიჭმა და გზა განაგრძო.

დათო გზის პირას იდგა და ქვემოთ, ხევისაკენ იყურებოდა. გზაზე ერთმანეთს მიჰყვებოდნენ მიწით და ქვა-ლორლით დატვირთული თვითმცლელები. მანქანებს თვალი გააყოლა და დაინახა, რომ ხევში ერთ ადგილას სცლიდნენ მიწას. იმ ადგილას უკვე მთა გაჩენილიყო. ამ მთის კენწეროზე მოქცეული მანქანები შორიდან წერტილებივით მოჩანდნენ.

უცებ ერთმა მანქანამ ისე ახლოს ჩაუქროლა, მტვერი ზედ სახეზე შეაყარა. მერე მძღოლის ხმაც გაიგონა:

— ეს ბიჭი ვილაა, შუა გზაზე რომ გაჩხირულა?

დათო მიხვდა, რომ მანქანებს ხელს უშლიდა და ველოსიპედს მოახტა. ცოტა რომ გაიარა, წინ ერთი მაღალი კაცი გადაეღობა. მას მკლავზე წითელი არშია ჰქონდა და იქით აღარავის უშვებდა.

— რატომ არ შეიძლება?—იკითხა დათომ.

— იმიტომ, რომ ცოტა ხნის შემდეგ აგერ, ის მთა უნდა აფეთქდეს, თუ გინდა წადი!—უთხრა იმ კაცმა და თან ცალი თვალით გადახედა,—არ გაგიჟდეს და მართლა არ წავიდესო.

დათო, რა თქმა უნდა, არ წასულა, მაგრამ ძალიან კი გაოცდა:

— მერე გზა რომ ჩაიხერგება?

— გზა? ეს გზა აღარ იქნება.

[illegible]

ამის თქმაზე დათოს თვალწინ თამაზი დაუდგა. „გზა აღარ იქნებაო? მერე თამაზი როგორ დაბრუნდება უკან?“—გაიფიქრა თუ არა ეს, საშინელმა გრუხუნმა შესძრა არემარე. ჯერ თვალები მაგრად დახუჭა, მერე გაახილა და დაინახა: უზარმაზარი ლოდები ცაში მიფრინავდნენ, მაღლა, ძალიან მაღლა ადიოდნენ და ბოლოს ხევში ეშვებოდნენ ხმაურით.

— სულ ასე იქნება ჩახერგილი ეს გზა?— გულმა ვერ გაუძლო და მაინც იკითხა ბიჭუნამ.

— არა, ლოდებს კი წაიღებენ და გზაც გაიწმინდება, მაგრამ ზედ აღარავინ ივლის.

— რატომ?

— ერთი წლის შემდეგ ამ ხევში დიდი ტბა იქნება, ეს გზა კი მის ფსკერზე დარჩება.

ახლა კი მიხვდა ბიჭუნა, რაში იყო საქმე.

— მაგრამ ტბა რალა საჭიროა?

— ამ ტბას წყალსაგუბარი ერქმევა. აქედან დაშვებული წყალი აამუშავებს ელექტროსადგურს,—აუხსნა დათოს იმ მაღალმა ძიამ.

— მაგრამ გზა ხომ მაინც საჭიროა?—ისევ თამაზზე ფიქრობდა იგი.

— ახალი გზა უკვე გავიყვანეთ, გაიხედე ზემოთ!

დათომ გაიხედა და მართლაც, დაინახა ახალი გზა, რომელზეც ცისფერი ავტობუსები მიჰქროდნენ.

უცებ ზემოდან მომავალი ერთი ავტობუსი გზისპირას გაჩერდა. ავტობუსიდან მგზავრები გადმოვიდნენ და სურათების გადაღება დაიწყეს. მგზავრებში ხნიერი არავინ ჩანდა. ყველა ახალგაზრდა იყო.

ერთ ბიჭს, თამაზს რომ ფართოფარფლებიანი ქუდი აქვს, ისეთი ქუდი ეხურა.

— ეს ხომ თამაზია!—წამოიძახა დათომ და ველოსიპედს მოახტა. ამ დროს ავტობუსიც დაიძრა. აი, ახალ გზაზე გავარდა დათო და ავტობუსს დაედევნა.

— თამააზ! თამააზ!—ყვირის დათო და ველოსიპედის თვლებს ისე აბზრიალებს, მათი ხმა მთელ ხეობაში ისმის.

— თამააზ! თამააზ!—ისევ ყვირის დათო და თანდათან უახლოვდება ავტობუსს.

უცებ დედის ხმა ჩაესმა დათოს.

— სად არის, თამაზი, შვილო? ხომ არ მოვიდა?

დათო აივნისკენ იყურება. აივანზე გაკვირვებული დედა დგას. დათო ხმას არ იღებს. ველოსიპედის თვალს აჩერებს და დედისკენ მიდის. დედა ეფერება ბიჭუნას, შუბლზე ჰკოცნის და ოთახში შეჰყავს.

— ორი დღე მოიცადე, თამაზიც მოვა,— ეუბნება დედა და წინ ფაფით სავსე თეფშს უდგამს.

დათო გემრიელად ილუკმება და თვალწინ ხან დიდი, ცისფერი ტბა უდგას, ხან—ავტობუსი, რომელიც ახალ გზაზე ქარივით მიჰქრის. ნეტავ მალე ჩამოვიდოდეს თამაზი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვი, ზღარბი და კენგურუ

ავთანდილ გურგენიძე

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ბავშვებო,
სინამდვილეა,
არვინ ჩათვალოთ ზღაპრად:
ბაზარში ვაშლი იყიდა
დათვმა,
კენგურუმ,
ზღარბმა.

თითო კი არა,
აიღეს
ათ-ათი ცალი ზუსტად,
მაგრამ ამდენ ვაშლს, ბატონო,
სახლში წაღება უნდა;

სახლში წაღებას, ბატონო,
რაღაც ჯურჯელი უნდა;
რაღაც ჯურჯელი კი არა—
უბრალო ჩანთა თუნდაც.

კენგურუმ:
— წასვლა ჩანთისთვის
სახლში სულაც არ მჯირდება...

ზღარბი იცინის:
— წაღება
განა მე გამიჭირდება?..

დათვმა:
— ცხადია დღესავით,
ვერ წავიღებ და ეს არი!..

...ზღარბს და კენგურუს ჩანთები
აღარ დაჭირდათ, მართლაც.
ამას სურათზე თქვენც
ხედავთ!

ბაზარში ნახა დათვმაც!

დათვმა იფიქრა, იფიქრა,
არა და რაღა ქნას?
ქუჩაში ხომ არ გადაურის,
ხომ არ გაატანს ქარს?

რაკი საშველი არ ჩანდა,—
დათვი ბაზარში დარჩა და,

თავისი ჯკუით, მეგობრებს
არ დარჩენია ვალში:
იქვე, ბაზარში, შეჯამა
დათვმა ათიოვე ვაშლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი და ერთი შაშვი

ოგნია იოსელიანი

ნახატები ედ. ამბოკაძისა

თქვენ გგონიათ, ჩინოს მაღალ ხეზე გასვლა იმიტომ უჭირს, რომ პატარაა? მაშინ მისი ტოლები ტოტიდან ტოტზე ციყვებივით როგორ დაძვრებიან? პატარა რომაა, იმიტომ კი არა—სიმართლე უნდა ითქვას, ჩინო მსუქანია. მსუქანია, მაგრამ რა ქნას, მისი ბრალი სულაც არაა. არაა იმიტომ, რომ საწყალ ბიჭს საშველს არ აძლევენ: ჭამე-ჭამეო. ჩინო ფეხებს გაასავსავებს: არ მინდა, არ მინდა ამდენი ჭამაო და ვერაფრით რომ ვერ დაიყოლიებენ, დაიწყება ხვეწნა და მუქარა: დედა თუ გიყვარს, მამას არ აწყენინო, ბებია მაინც მოხუცია და გული გაუსკდებაო. ბიჭს მამის რიდი აქვს, დედა მთელ ქვეყანას ურჩევნია, ბებია ისე ძალიან, ძალიან უყვარს, ეშინია გული არ გაუსკდესო და ჭამს, ჭამს და ჭამს...

რა უბედურებაა ამდენი ჭამა?

ზის მაგიდასთან ჩინო და გულმოსულია დიტოზე. დიტო მისი უფროსი ძმაა და როცა საჭმელს აძალებენ და აფიცებენ, ის მაინც თავისას არ იშლის: კარაქს ზედ არ შეხედავს, ნაჭერ პურს თუ ჭიქა რძე მიაყოლა, მოხედვას ვერ მოასწრებ—გარბის. არც ის ეყურება, რომ ეუბნებიან, ნაწვიმარზე ფეხ-

---

ქ. გოგიაშვილი

ჭიანური ჭაფხული

ნახატები ომარ მესხისა

ფაცურა

რა ყოფილა ფაცურა,
კილომეტრი გაცურა!

ლეკვები

გაუბერიათ ლეკვებს
რეზინის დიდი სპილო,
ზურგზე შემსხდარან მწკრივად,
გვიცქერენ სასაცილოდ.
ძირს ჩამობერტყა ტალღამ
ცუცქა, ბასარა, მურა,
თავისუფალი სპილო
მარტო ცურავს და ცურავს!

შიშველმა არ იტანტალო, თორემ მამა ჭკუას დაკარგავსო; ქარში ყელი შეიხვიე, თორემ ბებია არ გეყოლებაო; ტყეში არ წახვიდე, თორემ დედა მოგიკვდებაო. აბა, მისთვის სულერთია და ფეხშიშველიც დარბის, არც ქარს აგდებს რამედ და არც წვიმას. ტყეში ყოფნას ხომ არაფერი ურჩევნია.

თუ ჭამის დამთავრებას ეღირსა და მზიანი ამინდია, ეზოში ჩინოც დარბის, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, მაინც მსუქანია: ფეხზე სქელლანჩიანი ფეხსაცმელები აცვია, ყელი შეხვეული აქვს, ქურთუკი—ნიკაპამდე შებნეული და მალალ ხეზე კი არა, ასვლა დაბალზეც უჭირს. უფროს ძმას კი არაფერი არ უჭირს, ჩინოს ტოლა რომ ვიყავი, მაშინაც არ მიჭირდაო.

მოდი და გულზე ნუ გასკდები: ჩინოს ტოლა რომ ვიყავი, არც მაშინ მიჭირდაო. რა თქმა უნდა, მართალი არ იქნება. მაგრამ თორნიკეც რომ ეთანხმება? ბებია უარობს: თორნიკეს შარვლიდან ხალათი აქვს ამოჩაჩული, ჭიპი უჩანს და არ დაუჯეროო.

და ჩინოს მარტო ეს კი არა, არც ის სჯერა, დიტო რომ იძახის, ტყეში ფეხშიშველი არ დავდივარო. დიტო ისეთი მოხერხებულია, შუაგულ ტყეში გაივლის და ეკალიც კი არ შეესობა. ეს კიდევ რაა! მან ისიც კი იცის, ძალიან ფრთხილ შაშვს ბუდე სადა აქვს. შაშვი დაბურულ ბურდოებში და ძეძვებში იკეთებს ბუდეს და დიტომ მაინც იცის მისი ადგილსამყოფელი.

ჩინო კი ერთ დღეს გაიპარა ეზოდან, მინდორი გადაიარა. ტყეში შესვლა ვერ გაბედა, მაშინვე ეკლები ეცა. ჩიტები კარგა ბლუზულიმად იყვნენ. ორჯერ შაშვის ჭახჭახიც კი გაიგონა, მაგრამ მინდვრიდან ვერ იქნა და, ბუდე ვერ დაინახა. კარგა ხანს უთვალთვალა, მერე მოაგონდა, ალბათ დედა მეძებს, ბებიას გული გაუსკდებაო და უკან ხელცარიელი დაბრუნდა.

დიტომ კი იცის, სადაცაა შაშვის ბუდე და მერე როგორი ბუდე... ჩინო თითებზე ითვლის:

— ერთი, ორი, სამი და კიდევ ერთი ბარტყია იმ ბუდეში. ეუჰ, რა ბევრია სამი და კიდევ მეტი!..

მაგრამ ბარტყები პატარები კი არ არიან,— ბუმბულიცა აქვთ და ფრთებიც.

დიტომ ვითომ ხეზე ასვლა მაშინაც იცოდა, როცა ჩინოს ტოლა იყო?..

შაშვის ბარტყებმა უკვე ფრენაც იციან და მაინც ვერსად ვერ მიდიან. არიან ბუდეში და არიან. სანამ დაიბუმბლებოდნენ, დიტომ ფეხებში ძაფი ჩაუნასკვა. ძალიან კი არ ჩაუჭირა, რომ ტკენოდათ, ისე, რომ ვერ აეშვათ.

დედა შაშვს თურმე მოაქვს და მოაქვს საჭმელი, აჭმევს და აჭმევს. დაიზარდნენ, ადგილიდან კი ფეხს ვერ იცვლიან. ყველა ჩიტის ბარტყები გადაფრინდნენ. მარტო მისი შვილები სხედან ბუდეში პირდაღებულები.

დიტო ამბობს: თოთო ბარტყები რომ მომეყვანა, შიმშილით და სიცივით დამეხოცებოდნენ. ახლა დიდები არიან, გალიაში გადმოვსხამ და სახლში მეყოლებაო.

რა თქმა უნდა, ასეც იზამს. რა ხანია იგი წნელის გალიას ღობავს. მალე მოათავებს.

ლორმუცელა

მოიქნია, წყალში სტყორცნა
ფისუნიამ ანკესი;
ზღვას ჩასცქერის, გეგონებათ—
იყურება სარკეში;

დიდი თევზი ამოაგდო,
იფართხალა ბეჩავმა,
არც სხვას მისცა, არც ჩვენ მოგვცა,
მარტო თვითონ შეჭამა!

წავა, შაშვებს ფეხებს გაუხსნის და წამოიყვანს ერთს, ორს, სამს და კიდევ ერთს.

ჩინოს კი მამის რიდი აქვს, ბებიაც უყვარს, დედა ქვეყანას ურჩევნია და რა ქნას, ჭამს და ჭამს. მსუქანი ბიჭია, ვერც მაღალ ხეზე ადის და ტყეში ეკალ-ბარდებში ძრომაც არ ეხერხება.

ბარტყები კი ყურყუტებენ ბუდეში. დედა შაშვს მოაქვს ბუზანკალი, ჭრელ-ჭრელა პეპლები და ეხვეწება, ჭამეთ და უფრო გაფრინდებითო, მაგრამ არ იცის, რომ შვილები დაბმულები არიან.

დიტო უმცროს ძმას დაჰპირდა, როცა ტყეში შაშვების მოსაყვანად წავალ, თან წაგიყვანო. წაიყვანს მაგრამ, რომ არ დაადგა საშველი გალიის მოთავებას.

შაშვი კი შვილებს დედას და ბებიას აფიცებს, ჭამეთ, ჭამეთო. ბარტყებმაც რა ქნან, სუქდებიან და ვერსად ვერ მიფრინავენ.

გალია წვრილი წნელით უნდა მოიღობოს. ჯერ ძირი, მერე გვერდები. ერთ გვერდზე კარი უნდა დაუტოვო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ყველაზე მეტად თავის გადალობვა ჭირს... ბოლოს ის ერთი ციცქნა კარი უნდა მოწნან სულ წვრილი წნელებით და მავთულით მიაბან.

ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იქნა, გზას დაადგნენ, ბუდე არ ყოფილა, სადაც ჩინოს ეგონა. ეზოდან მინდორში გავიდნენ, იმ ტყეს გვერდი სულ აუარეს, ისევ მინდორ-მინდორ გასწიეს და სხვა ტყეს მიადგნენ, მაგრამ არც იქ ჰქონდა შაშვს გაკეთებული ბუდე.

გალია უფროს ძმას მიჰქონდა, უმცროსი კი მაინც დაიღალა. ბოლოს, მთლად უზარმაზარ ტყეში რომ შევიდნენ, დიტო ბოლოს კი არ გაჰყვა, ბარდებში და ძეძვებში გადაუხვია. ჩინოს სახეში ტოტები გაებლანდა, შარვალში და წინდებში ეკლები ეცნენ, ეცნენ და არაფრით შაშვის ბუდისაკენ არ გაუშვეს. ბიჭი მაინც რომ წინ წავიდა—უჩხვლიტეს, მაგრამ რა ექნა, დიტომ უკან არც მოუხედა.

ჩინომ—ძმა თვალთაგან დამეკარგებაო—ისევ გასწია და წვივი სულ დაეკაწრა, ფშლუკუნი დაიწყო. დიტო ისევ წინ მიდიოდა, გალიაც მიჰქონდა, ვერც ტოტები ულობავდნენ გზას და ვერც ბარდები.

უმცროსმა ძმამ ცრემლი გადაყლაპა, კბილს კბილი მაგრა დააჭირა და დიტოს მიჰყვა, უკან რომ არ დაიხია და თავისი არ დაიშალა, ეკლებიც მოეშვნენ და ტოტებიც აღარ ცემდნენ სახეში.

უშველებელ ძეძვთან უფროსმა ძმამ გალია უმცროსს მიაწოდა. თვითონ ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და ფხა გაუსინჯა. მერე ბარდებში ისე შეძვრა და დაიკარგა, თითქოს მღვრიე წყალში დაყვინთაო.

მალე ბარტყების ჭყიპინი მოისმა. ბუდე მაინც არ ჩანდა და არ ჩანდა. მერე კი ძეძვებიდან ხელი დიტომ გამოჰყო, მუჭიდან შავი შაშვის თავი და ყვითელი ნისკარტი ჩანდა. ჩინომ გალია ახლოს მიუტანა, დიტომ შაშვი შიგ შეუშვა, გაშლილი ხელი გამოაძვრინა და კარი მაშინვე მიუხურა. ჩინოს უკვირს: რა მოხერხებული ძმა ჰყავს. ხეებზე ძრომა ალბათ მაშინაც არ უჭირდა, როცა

გოჭუნია

— აღარ მინდა მზეში წოლა,
არც სილა, არც ბალახი,
ცუგო, მითხარ, სად მივიღო
აბაზანა ტალახის?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩემი ტოლა იყოო.

მაღლიდან ჭახჭახი მოისმა. ჩინომ ძლივს შეასწრო თვალი, იმ ძიგვში, სადაც დიტო შეძვრა, შაშვი შავი ქვასავით ჩავარდა. ჩავარდა, მაგრამ მაშინვე ამოფრინდა. ფრთა ხის ტოტს წაჰკრა, ჰაერში გადატრიალდა, მაგრამ ჭახჭახით მაინც მაღლა ავარდა და თვალს მიეფარა. ამასობაში დიტომ მეორე ბარტყი მოიყვანა. ჩინოს მარჯვედ უნდა გაეღო გალია, რომ ის ერთიც არ გამოფრენილიყო და მეორეც შიგ შეეშვათ. დედა შაშვმა კვლავ ბუდეს მიაშურა. როცა დიტო უკან გაბრუნდა, იქაურობას ისევ გაეცალა.

სამი და ერთი აჭყლოპინებული ბარტყი რომ გალიაში მოათავსეს და შინისაკენ გზას გაუდგნენ, დედა შაშვი აქეთ-იქით აწყდებოდა და ჭახჭახებდა.

ჩინო, სანამ სახლამდე მივიდოდნენ, ისე დაიქანცა, ფეხებს ძლივს მიათრევდა.

დიტომ გალია აივანზე, სვეტებს შორის დაკიდა და ძმა დაარიგა:—შენ ტყეში სიარული არ შეგიძლია, იღლები, სახლში დაეტიე და შაშვებს სასმელ-საჭმელი არ მოაკლოო.

ჩინოც ასე აპირებდა, მაგრამ ბარტყებს იმ დღეს პირში არაფერი ჩაუდვიათ.

მეორე დღეს დიტომ თქვა:—რაკი თავისით არ ჭამენ, ძალით უნდა მივაჩვიოთო. გალიიდან ჯერ ერთი შაშვი გამოიყვანა, ნისკარტი გაუღო, ფეტვი პირში ჩააყარა და წყალიც დააყოლებინა, მერე—მეორეს, მესამეს და

ბოჩოლა

— რამდენ წყალს სვამ, ბოჩოლა?!—
ნიშას ჰკითხეს ბავშვებმა!
— გავიბერე ტიკივით,
ზღვა კი მაინც არ შრება!

მამალი

გაწოლილა ქოლგის ქვეშ,
თუმც ყელი აქვს მოშლილი,
აქ ისვენებს ზაფხულში
მამლაყინწა ცოლ-შვილით!

ბოლოს—კიდევ ერთს. შენც ასე უნდა ჰქნაო, გააფრთხილა ძმა და ეზოდან თვალსა და ხელს შუა გაიპარა.

თორნიკე წაიყვანა და წავიდა, თორნიკეს ჭიპი უჩანს და მაინც წაიყვანა!.. ჩინო ძმაზე ისევ გაბრაზდა და ორჯერ სცადა მსხლის ხეზე ასვლა: არაფერი გამოუვიდა. ფეხსაცმელების გახდაც მოინდომა, მაგრამ ცალზე თასმა ვერ გახსნა. მერე ატმის ხეს მოეპოტინა, ტოტების გასაყარამდე ძლივს აფორთხდა და ისევ ძირს დაეშვა.

ჩინოს იმ დილით სამი და კიდევ ერთი ნაჭერი კარაქიანი პური შეაჭამეს, დაშაქრული რძე, ჩაი და მურაბა. ეს დილით. სადილად დიდი მათლაფა წვნიანი დაუდგეს, ჩინომ პირი იბრუნა, მაგრამ დედამ ბებიას გასძახა: არ ჭამსო, ბებიამ გულზე ორივე ხელი მიიდო—გამისკდებაო, წვნიანი რომ უნდა დაეხვრიპა, ეს არაფერი, მაგრამ მერე დედას შეიძლება ჩამჩით კიდევ დაემატებია. შემდეგ ძვალგამორჩეული თევზის დიდი ნაჭერიც უნდა დაეყოლებინა. ამას გარდა, ხორცეულიც ხომ იქნებოდა? ტკბილი ნამცხვარი, კომპოტი და ხილი...

ჩინომ წვნიანის შემდეგ ფეხები გაასავსავა, მეტი აღარ მინდაო, მაგრამ აქეთ დედა დაუჯდა, იქით ბებია,—თევზი თუ არ ჭამე, მშობლები არ გეყოლება, თუ კატლეტი არ გაათავე... ბებომ მკერდზე მკლავები გადაიჯვარედინა და თვალები გადააატრიალა,—აი, აქვე სულს დავლევო.

როგორც იქნა სადილობას მორჩა და დალილი აივანზე გამოვიდა. ძმა ისევ ადგილზე ჩანდა. გალიაში კი მოწყენილი შაშვები ისხდნენ და ტყისკენ იცქირებოდნენ.

„ალბათ უკვე მოშივდათ“, იფიქრა ჩინომ. იქვე ფეტვი ეყარათ და პირს კი არცერთი არ აკარებდა.

ჩინო სკამზე ავიდა, სკამიდან—მორჩილა მაგიდაზე, მაგიდიდან მიწვდა გალიას, გამოაღო და ხელი შეჰყო, მაგრამ შაშვები აქეთ-იქით მიაწყდნენ. ერთი ძლივს დაიჭირა, გამოიყვანა, ნისკარტი ძალით გაუღო და პირი ფეტვით გაუვსო. ჩიტმა თავი გაიქნია და უკან გადმოყარა.

ჩინოს დილანდელი სამი და კიდევ ერთი ნაჭერი კარაქიანი პური გაახსენდა, შემდეგ წეღანდელი ერთი მათლაფა კარტოფილით სავსე წვნიანი, მერე ჩამჩით რომ კიდევ დაუმატეს, ზეთში შემწვარი გაზიზნილი თევზი, კატლეტი და... შაშვს ხელი გაუშვა.

ფრინველმა თავისუფლება რომ იგრძნო, მაშინვე აფრთხიალდა და ეზოში, მინდორზე დაეშვა. ბალახებზე ერთი ორჯერ სკუპ-სკუპით გადახტა, აფრინდა და ღობეზე შემოჯდა. იქ კი, როცა დაიჯერა, ფრენა მცოდნიაო, შაშვივით დაიჭახჭახა, ხეზე შესკუპდა და გაფრინდა და გაფრინდა...

იფრინოს, იჭახჭახოს, როცა უნდა და, რაც უნდა, ის ჭამოს...

ჩინომ გალიის კარი ყურთამდე მოაღო. გახარებული უყურებდა, როგორ გამოფრინდა მეორე შაშვი, მერე—მესამე და ბოლოს კიდევ ერთი.

ნახატები გიორგი რობინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ხათრი თუ გაქვს

თეიმურაზ აბულაძე

კატუნია—კატუნის
ეხვეწება ნატული:
— ჩემი ხათრი თუ გაქვს,
აწი ნულარ გააბრაზებ
ცუგას,
თორემ დაგიდარაჯდება,
მოვა ფეხაკრეფით
და გულს გადაგიტრიალებს
უეფით.

ფეფაზე

ჩოჩიალა ურმებით
მოგვეებოდით ხრამებს.
ლამის აჰეურები
აწუდებოდათ ხარებს.
ტეიდან შეშა მოგვქონდა —
შეშა — ხმელი მუხის.
მე და ბაბუმ მთელი დღე
ვერ ჩავხარეთ მუხლი:
ჰო, ჰო, რა ვიჯახირეთ!
ჰო, ჰო, რა ვიწვალეთ! —
ხან — წინ უღელს ვეკიდეთ,
ხან — ვშველოდით ხარებს.

წიწილა

ნელი დარსაველიძე

წიწილა ვარ, წია, წია,
მომისმინე, ჩემო ეკა;
დამიყარე ბლომად ფეტვი,
კრუხმა ახლა გამოძჩეკა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკამ გადაარჩინა

თამაზ ჯიბღაშვილი

ნახატები ზურაბ ქაპანაძისა

ნიკა და თეა მდინარის პირას თამაშობდნენ. თეა დიდ გაზუზნულ დედოფალას მდინარეში აბანავებდა. ნიკა წითელ-ყვითელ კენჭებს აგროვებდა და თეასთვის არ ეცალა.

შუადღისას, კარგა რომ ჩამოცხა, მდინარეზე ბაბუა დათიკოც ჩამოვიდა.

ნიკამ წყალში შეცურა, ცოტა ხნის შემდეგ, ბაბუა დათიკომაც გაიხადა ტანსაცმელი და ნაპირთან ჩადგა.

— ჩამოდი,—ამოყვინთა ნიკამ.

— ცივია?—ჰკითხა ბაბუამ და თეას დედოფალას გადახედა,—მერე პასუხისთვის არ დაუცდია, წყალში მკვირცხლად გადახტა.

დათიკო მორევისაკენ გაცურდა. სწრაფად და ღონივრად უსვამდა. წყალზე ხეთა მაღალი კენწეროების ჩრდილები წვებოდა. გაღმა სოფლის შარაგზაზე სატვირთო ავტომანქანა მიგუგუნებდა.

— ბაბუა,—თეა ნაპირს მოადგა და მთელი ხმით დაიძახა,—მანდ რომ მორევია, არ დაიხრჩო!

— ნუ გეშინია, ბაბუა, არ დავიხრჩობი.

ბაბუამ მარჯვენა ასწია და შემოტრიალდა. სწორედ ამ დროს გადაიფრინა თვითმფრინავმა და ბავშვებს არ გაუგონიათ ბაბუას ხმა. ნიკამ მხოლოდ ბაბუა დათიკოს გაღიმებულ სახესღა მოჰკრა თვალი. ბაბუა გვერდულად მიცურავდა და ქვეშ-ქვეშ ხან ერთს გახედავდა, ხან—მეორეს. მერე ვითომ უმწეოდ აასავსავა ხელი, წელში მოიხარა და ჩაყვინთა. სანამ წყლის ზედაპირზე ფართე რგოლები გაიფანტებოდა, ნიკამ ერთი ღრმად ამოისუნთქა, სხეული დაძაბა და გაცურა. თეა მთელი ხმით წიოდა და ბაბუას ეძახდა. იქ, იმ ადგილზე, სადაც დათიკო ბაბუას თავი მიიმალა, ახლა თეთრი ქაფქაფა ბუშტები ამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკამ ლოდებშუა მოძებნა მორევში შესასვლელი და დაყვინთა. ცოტა ხნის შემდეგ ჯერ დათიკო ბაბუას ზურგი გამოჩნდა, მერე—თავი. ნიკა რომ ვერ დაინახა, ისევ ჩაყვინთა. წყლიდან ახლა ნიკა ამოძვრა. აქეთ-იქით გაიხედა, ბაბუა გამჭვირვალე წყალში დალანდა და იქით გაექანა. ბაბუამ ლოდის მეორე მხარეს გაცურა. ნიკა შემოტრიალდა და თავი ისევ ამოჰყო.

„ხომ არ დაიხრჩო",—გაიფიქრა ბიჭმა.

— ლოდს იქით მოძებნე!—დაუძახა თეამ.

— ვერ მიპოვნია!

— უშველე ბაბუას,—სიცილით გასძახა თეამ და სახეზე თოჯინა აიფარა,—არ დაიხრჩოს!

ნიკა ისევ გაცურდა, ის რომ ლოდს შემოუვლიდა, ბაბუა მეორე მხარეს იმალებოდა. ბოლოს ბაბუა წყალში გაიშოტა და ნიკას დაუცადა. ბიჭმა სწრაფად დაყვინთა, ცალი ხელით მკლავური მოუსვა და მეორე—ბაბუას ჩასჭიდა. ბაბუა გაჰყვა, თან, ვითომ მართლა დამხრჩვალი ვარო, სუნთქვა შეიკრა. წყალში ·ნიკამ ბაბუა წამოსვა და თეას დაუძახა:

— მიშველე, გოგო, ნაპირზე გავათრიოთ!

ცოტა ხნის შემდეგ ბაბუამ თვალები გაახილა.

— ცოცხალი ხარ, ბაბუ?—ჰკითხა აკანკალებულმა ნიკამ.

— კი, ბაბუა, ცოცხალი ვარ.

— უჰ,—ღრმად ამოისუნთქა ნიკამ.

დათიკომ სახიდან წყლის წვეთები ჩამოიფერთხა და ნიკას შეხედა:

— ისე დროზე კი მომისწარი.

ნიკა ბაბუას ფეხებთან ჩაცუცქდა და ქვემოდან შეხედა.

— თეამ თქვა, ბაბუა დაიხრჩოო.

— ვიხრჩობოდი და ეგ იყო, ყოჩაღ, შვილო, ყოჩაღ,—დათიკო ნაპირზე გამოვიდა. თეას თვალები ეშმაკურად უციმციმებდა და სიცილს ძლივს იკავებდა.

ნიკა გაიბადრა და წყლიდან ამოვიდა. ბილიკზე ბებია გამოჩნდა. ინდაურებს მოერეკებოდა და ჯოხს ჰაერში იქნევდა.

თეა ბებიას მივარდა:

— დათიკო ბაბუა იხრჩობოდა.

ბებიამ ბაბუას გადახედა და შვილიშვილს გაუღიმა.

დათიკომ ხელი ულვაშებზე გადაისვა და ქვაზე ჩამოჯდა.

— იხრჩობოდა?

— ჰო, ნიკამ გადაარჩინა, თორემ იხრჩობოდა.

— ხომ გითხარი, ნიკა ყოჩაღი ბიჭია-მეთქი.—თქვა ბაბუამ.

— ენაცვალოს ბებია.

ნიკამ ბაბუას ამაყად გადახედა:

— აღარ ჩახვიდე ბაბუა წყალში.

— დაგვიბერდა ბაბუა,—თქვა ბებიამ.

— კარგი, აბა, აღარ ჩავალ.

თეა სიცილისაგან იჭაჭებოდა და ბებიას ყურში უჩურჩულებდა:

— ბაბუამ, ვითომ ვიხრჩობიო და...

ბებიამ ნიკა გულში ჩაიკრა. დათიკო ბაბუა ბუჩქნარზე გადაკიდებულ ტანსაცმელს იცვამდა და თან ნიკას აქებდა.

შუადღე უკვე გადასულიყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ალხობენი, მალხობენი

ნოდარ შამანაძე



ზღაპარი

იყო ორი ძმადნაფიცი,
ძმებზე უფრო ახლობელნი,
ერთსა ერქვა ალხობენი,
მეორეს კი—მალხობენი.
ჰქონდათ კარგი კარ-მიდამო,
ჭერმალალი ედგათ ოდა,
კარგი ჰქონდათ ბეღელი და
ჭურ-მარანიც კარგი ჰქონდათ.
ოღონდ ესღა აღონებდათ,
ზოგჯერ ბოღმით იხრჩობოდნენ,—
წისქვილში რომ წავიდოდნენ,
ხშირად სამ დღეს იქ რჩებოდნენ.
ჰოდა, ერთხელ ალხობენმა
ასე უთხრა მალხობენს:
— სირცხვილია, სირცხვილია,
ჩვენ წისქვილი არ გვქონდეს
და სიმინდი დასაფქვავად
ცხრა მთას იქით დაგვქონდეს!—
დატრიალდა ალხობენი,
დატრიალდა მალხობენი,
გაშლილ ველზე მიიტანეს
ქვა ბევრი და ქვიშა ბევრი
და ბალავერს როცა ჭრიდნენ,
(როგორც არის წესი),
სად იყო და სად არა,
თავს დაადგათ მწყემსი:
— გამარჯობათ!
— გაგიმარჯოს!
— რას აშენებთ?
— წისქვილს.
მწყემსი პირზე ხელს იფარებს,
ძლივს იკავებს სიცილს.
შუბლი შეკრა ალხობენმა:
— ვინც რა უნდა თქვასო...—
ჩაიცინა მალხობენმა:
— წისქვილმა კი ფქვასო.—
კვლავ მუშაობს ალხობენი,
კვლავ მუშაობს მალხობენი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარს იქნევენ მარდად.
სად იყო და სად არა,
მონადირე გაჩნდა:
— გამარჯობათ!
— გაგიმარჯოთ!
— რას აშენებთ?
— წისქვილს.
მონადირეს ეღიმება,
ვერ იკავებს სიცილს...
შუბლი შეკრა მალხობენმა:
—ვინც რა უნდა თქვასო...
ჩაიცინა ალხობენმა:
— წისქვილმა კი ფქვასო.—
მზე ზეციდან იკბინება,
მწველ სხივებად გაფანტული.
ალხობენმა, მალხობენმა
გაიკეთეს ფანჩატური.
ჩრდილში დასხდნენ, შეისვენეს,
ახლა სადილს ელიან,
მუშაობის შემდეგ ჭამა
ჰო, რა გემრიელია!
აი, უკვე მოვიდა
ველზე ქალი ორი:
ალხობენის ცოლი,
მალხობენის ცოლი,
კალათებით მოიტანეს
სანოვაგე უხვი,
სუფრის გაშლას შეუდგნენ,
მოიყარეს მუხლი.
ალხობენიც დაჯდა,
მეუღლეზე მწყრალი:
— რით დავიბანთ ხელებს,
დაგვიწყნიათ წყალი!—
მალხობენის ცოლმა
უცებ გადიკისკისა:
— ნაკადულიც არსად ჩანს,
აქ აშენებთ წისქვილსა?!—
მოიღუშა ალხობენი:
— ასე როგორ დავიბენით!..
ვთქვათ, ავაგეთ წისქვილი,
რა უნდა ვქნათ მერე,
აქ არ არის მდინარე,
აქ არ არის ღელე,
ამოდენა დოლაბებს
როგორ ავამღერებთ?!—
მოიღუშა მალხობენიც:
— ვაი, მართლა დავიბენით!..
ალხობენი, მალხობენი
ახლაც ოფლად დნებიან,
მიათრევენ შინისაკენ,
რაც იმ ველზე ქვები აქვთ,
უყურებენ მეზობლები
და სიცილით კვდებიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღელი და რუხი მგელი

აკაკი გელოვანი ნახატი ომარ მესხისა

რუხმა მგელმა თეთრი კურდღელი დაიჭირა, განზე გაათრია და შეხრამუნებას უპირებდა; ამ დროს საიდანლაც თეთრი მგელი გამოვარდა და ისიც კურდღელს ეცა.

რუხმა მგელმა შეუღრინა:

— ნადავლი ჩემია და ტყის წესებს ნუ არღვევ!

— ნადავლი მისია, ვინც შეჭამს! — მიუგო თეთრმა მგელმა.

შეიქნა ერთი გაწევ-გამოწევა;—არა ჩემია და არა—ჩემიო.

— მოდი აბა, და, თვითონ კურდღელს ვკითხოთ.

რუხი მგელი საცოდავად მობუზულ ყურცქვიტას მიუბრუნდა:

— ჩემო კარგო კურდღელო, შენ ხომ პატიოსანი ვინმე ხარ! აბა, უთხარი თეთრ ავაზაკს, ვის უფრო ეკუთვნის შენი ფაფუკი ბეწვი? ხომ მე დაგიჭირე და თანაც ნამდვილი რუხი მგელი ვარ! ისე ფრთხილად შეგახრამუნებ, რომ ვერც გაიგებ. მე...

— გეყოფა უბედობა! — შეუღრინა თეთრმა მგელმა,—ხომ ხედავ, თეთრო კურდღელო, რა უბედი და ვერაგია ეს რუხი ავაზაკი? აბა, სად რუხი და სად თეთრი მგელი! შენც ხომ თეთრი ხარ! აბა, გულზე ხელი დაიდევი და ისე თქვი, ხომ გირჩევნია, რომ მე შეგსანსლო?

— ჩემთვის სულერთია, თეთრი მგელი შემსანსლავს თუ რუხი!—დაიკნავლა კურდღელმა,—ორივე ავაზაკები ხართ. კარგი მგელი ის იქნება, რომელიც ცოცხალს გამიშვებს.

სასწაული მოხდა და ერთიმეორის ჯიბრით მგლებმა კურდღელი მართლაც გაუშვეს ცოცხალი და დღესაც ტყეში დაცუნცულებს.

ᲣᲣᲠᲪᲥᲕᲘᲢᲔᲑᲘ

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲙᲣᲚᲐᲫᲔ

ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი, ექვსი, შვიდი —
უურცქვიტების მთელი ჯარი
ბოხტნისაკენ მიდის.

განა რაშის მოსაპარად?
სამუშაოდ მიდიან,
მსრებზე ბარი გაუდვიათ,
თან საგზალიც ჰკიდიათ.

იმუშავეს, გაავსეს
ეზო-უურე ბარაქით,
მერე სახლში წაიღეს
მთელი ზამთრის მარაგი.

ᲓᲐᲗᲕᲘ

როგორ მომწონს აქ ეოფნა,
თაფლში დრუნჩის ჩაეოფა,
მეტი არა მინდა რა, —
მუდამ ასე მამეოფა.

ნახატები **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ**

ეროვნული ბიბლიოთეკა
14705

ალფუნცუკა

გამოცანები

ვალვა შუბლაძე

დამცხება და
დავსრიალებ,
ჭრელაჭრულებს ვაპრიალებ.

წვიმა

მარი აბრამიშვილი

წკაპაწკუპი,
წკაპაწკუპი,—
მოდის წვიმა
ცეკვა-ცეკვით,
— მორწყულია ჩვენი ბაღი,
გვიხარია მე და მეგის.

ნახატი **ვაჟა ქუთათელაძისა**

არც ხურო ვარ,
არც მჭედელი,
მაგრამ მთელი ზაფხული
დღენიადაგ ისმის ხიდან
ჩემი კაკუნ-კაკუნი.

გიორგი წერეთელი

გირი,
გირი,
გირი,
გირი,
ზოგ-ზოგ სასწორს უნდა გირი,
წყალს დავადგი
უნა....
უნაგირი არის მართლა
ამ ღელეზე
ეს ბო....

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებუსი

შეადგინა ცაგერის რაიონის სოფ. ლაილაშის სკოლის მოსწავლემ **ნინო კაჭკაჭიშვილმა.**



თავსაფები

ბაჭიამ კიბეზე რომ აიცანცალოს, ბოსტანში შეიპარება.

რა ბოსტნეული დახვდება იქ? შეავსეთ ცარიელი უჯრედები ბოსტნეულის სახელწოდებებით.

შეადგინა თბილისის 77-ე სკოლის მოსწავლემ **ზვიად მაჭარაშვილმა.**

მთავარი რედაქტორის მოადგილე ირაკლი ქეშელაშვილი

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაქმ, მუხრან მამავარიანი, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), რობერტ ღარიბაშვილი, ბესო ძნელაძე

ხაქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. გამოცემის 48-ე წელი.

ყდაზე ნახატი ომარ მესხისა

ტექრედაქტორი ინდო ყარეთელი

ხაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15, პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17, სამხ. რედაქტორის — 93-98-18, განყოფ. — 93-98-19, სანდიფსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 15/V-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-75 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 159.700. შეკვ. № 2068. „Дила" № 8, на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

674/158
76055
ეროვნული ბიბლიოთეკა





„ზამთარი“—ნახ. **დალი თიბილაშვილისა**, 9 წ. თბილისი.
„გემი“—ნახ. **რამაზ შენგელიასი**, 9 წ. თბილისი.
„გოგონა“—ნახ. **ირმა კოლუაშვილისა**, 4 წ. რუსთავი.
„**უვავილი ქოთანში**“—ნახ. **გოჩა ხიბლიშვილისა**, სოფ. ატენი.